Bakhvi HPP

შპს „ბახვი 2“

მომწოდებელთა ქცევის კოდექსი

მომწოდებელთა ქცევის კოდექსი დამტკიცებულია

კომპანიის დირექტორის მიერ: გიორგი აბრამიშვილი

2025

შინაარსი

შესავალი 2
მომწოდებელთა ქცევის კოდექსი 3
მომწოდებელთა ქცევის კოდექსის წლიური გადახედვის პროცესი 11

შპს ბახვი 2
მომწოდებელთა ქცევის კოდექსი

შესავალი

შპს „ბახვი 2“ (შემდგომში - „კომპანია“) გურიის რეგიონში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, კერძოდ მდინარე ბახვისწყალზე ახორციელებს 35.4 მგვტ ჯამური დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 2“ ჰესის (ბახვი 2ა, ბახვი 2ბ) მშენებლობას სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 29 მაისის N241/ს ბრძანებით განსაზღვრული გარემოსდაცვითი გადაწყვეყტილების თანახმად. კომპანიის ინვესტორები არიან „კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი“ (სი-სი-ი-ეიჩ), ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი“ და სხვა სპეციალიზებული ინვესტორები ავსტრიიდან და საქართველოდან. „კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის“ ინვესტორები კი თავის მხრივ, არიან ცნობილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ამერიკიდან და ევროპული ქვეყნებიდან (მათ შორის - ევროპის საინვესტიციო ბანკი [EIB], ჰოლანდიის განვითარების ბანკი [FMO], ავსტრიის განვითარების ბანკი [OeEB] და სხვა). აღსანიშნავია, რომ ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი“ ფლობს მრავალფეროვან ბიზნეს პორტფელს რამდენიმე დასავლურ ქვეყანაში.

„ბახვი 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ხორციელდება მდ.ბახვისწყალზე ზღვის დონიდან 1 378-506 მ ნიშნულებს შორის. პროექტი ითვალისწინებს 2 სადგურის მოწყობას, ბახვი 2ა, რომლის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 11.6 მგვტ-ს და ბახვი 2ბ, რომლის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 23.8 მგვტ-ს.

„ბახვი 2ა“ სადგური წარმოადგენს ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესს, რომლის შემადგენლობაშია სათავე ნაგებობა, სადაწნეო სისტემა და მიწისზედა ჰესის შენობა, სადაც განთავსებულია ელექტროენერგიის გამომუშავებისთვის საჭირო ყველა ელექტრო და მექანიკური აღჭურვილობა. ელექტროსადგურის სრული დაწნევა შეადგენს 311.55 მ-ს, ხოლო საპროექტო წყლის ხარჯი შეადგენს 4.6მ^3/წმ-ს. საშუალო წლიური გამომუშავება იქნება 45.5 გვტ/სთ.

„ბახვი 2ბ“ წარმოადგენს ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესს, რომლის შემადგენლობაშია სათავე ნაგებობა, სადაწნეო სისტემა და მიწისზედა ჰესის შენობა. ელექტროსადგურის სრული დაწნევა 551.2 მ-ია, ხოლო საპროექტო ხარჯი 5.3მ^3/წმ. საშუალო წლიური გამომუშავება შეადგენს 92.8 გვტ/სთ-ს.

შპს „ბახვი 2“ საკუთარ საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების - IFC-ისა და EIB-ის მიერ დადგენილი გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან სრული შესაბამისობით.

ეთიკური და მდგრადი ბიზნესის პრაქტიკისადმი ჩვენი ერთგულების შესაბამისად, მოვუწოდებთ ყველა მომწოდებელს, დაიცვან ჩვენი „მომწოდებელთა ქცევის კოდექსი“, რომელიც მოიცავს ისეთ ძირითად სფეროებს, როგორიცაა ადამიანის უფლებები, შრომა, გარემო და ეთიკური ქცევა.

ამ პრინციპების დაცვით და ჩვენს მიწოდების ჯაჭვში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობით მიზნად ვისახავთ, დადებითი წვლილი შევიტანოთ ზოგადად საზოგადოების განვითარებაში და ხელი შევუწყოთ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

ადამიანის უფლებები:

მომწოდებლები იღებენ ვალდებულებას პატივი სცენ და მხარი დაუჭირონ საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს. ბიზნესის საქმიანობის ფარგლებში დაცული უნდა იყოს ინდივიდების უფლებები და ღირსება როგორც კომპანიაში, ასევე თემებში.

შრომა:
მომწოდებლები იცავენ დასაქმებულების გაერთიანების თავისუფლებას და აღიარებენ კოლექტიური მოლაპარაკებების უფლებას. ისინი არ ემხრობიან იძულებითი შრომის პრინციპს, ხელს უწყობენ მრავალფეროვნებას და დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო გარემოს შექმნას.

გარემო:
მომწოდებლები გარემოსდაცვითი გამოწვევების მიმართ პრევენციული მიდგომით ხელმძღვანელობენ. იღებენ ვალდებულებას, მინიმუმამდე შეამცირონ გარემოზე ზემოქმედება, ხელი შეუწყონ მდგრადობას და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების მხარდაჭერას.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა:
მომწოდებლები მოწოდებულნი არიან ებრძოლონ კორუფციას. ამის მისაღწევად კი ატარებენ ძლიერ ანტიკორუფციულ ღონისძიებებს, მათ შორის პოლიტიკის, ტრენინგის და ანგარიშგების მექანიზმების დანერგვითა და გამოყენებით.

ანგარიშგება და ანგარიშვალდებულება:
მომწოდებლები აღიარებენ გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელობას. რეგულარულად ახორციელებენ ანგარიშგებას შპს „ბახვი 2“-ის (კომპანია) მიმართ, ბიზნეს პრაქტიკის შესახებ და ღიად პასუხობენ გამოწვევებს, მათ შორის ნებისმიერ დარღვევას.

მომწოდებელთა ქცევის წინამდებარე კოდექსი ხაზს უსვამს შპს „ბახვი 2“-ის ვალდებულებას ეთიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხებისადმი და ხელს უწყობს პასუხისმგებლიანი და მდგრადი ბიზნეს პრაქტიკის პოპულარიზაციას საკუთარ მომწოდებლებს შორის.

მომწოდებელთა ქცევის კოდექსი
მომწოდებელთა ქცევის კოდექსი შპს „ბახვი 2“-ის ყველა მომწოდებლისგან შემდეგი პირობების მკაცრად დაცვას მოელის:

ვინ არიან მომწოდებლები?
მომწოდებელი არის პირი ან ორგანიზაცია, რომელიც სხვა ნებისმიერ კომპანიას აწვდის საქონელს ან მომსახურებას. ისინი მიწოდების ჯაჭვის უმნიშვნელოვანესი ბიზნეს პარტნიორები არიან, ბიზნესის ოპერაციების წარმოების ან გაყიდვების მიზნით გვთავაზობენ სხვადასხვა პროდუქტს, ან მომსახურებას. მომწოდებლები შეიძლება მოიცავდნენ მწარმოებლებს, ბითუმად მოვაჭრეებს, სერვისის პროვაიდერებს და გამყიდველებს.

მრავალფეროვნება
შპს „ბახვი 2“ ყველა მომწოდებლისგან მოელის, რომ მათი გუნდები იქნება მრავალფეროვანი, დაიცავენ ეფექტიანობის და ტექნიკური კომპეტენციის უმაღლეს სტანდარტებს. მომწოდებლებმა უნდა შექმნან ისეთი სამუშაო ადგილი, რომელიც ხელს შეუწყობს პოზიტიური და პროდუქტიული გარემოს შენარჩუნებას. აამაღლებს მოტივაციას და შესაბამისად შეაფასებს საკუთარი თანამშრომლების გამოცდილების მრავალფეროვან სპექტრს.

დისციპლინური და გასაჩივრების პროცედურები
შპს „ბახვი 2“-ის ყველა მომწოდებელმა უნდა აღმოფხვრას დისკრიმინაციის გამოვლინებები რასის, ფერის, ეთნიკური ან ეროვნული წარმომავლობის, უნარშეზღუდულობის, ასაკის, სქესის (ორსულობის ჩათვლით), ოჯახური მდგომარეობის ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე.

ნებისმიერ დისკრიმინაციულ ქმედებას, ნებისმიერი თანამშრომლის მხრიდან მოჰყვება დისციპლინური პასუხისმგებლობა, სამსახურიდან განთავისუფლების ჩათვლით.

თანაბარი შესაძლებლობები

შპს „ბახვი 2“-ის ყველა მომწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანაბარი შესაძლებლობები თანამშრომლებისა და სამუშაოს მაძიებლებისათვის, მათი დასაქმების პერიოდში. დასაქმების ყველა მაძიებელს და კომპანიის თანამშრომელს მოეპყრობიან თანაბრად მათი ფერის, ეთნიკური ან ეროვნული წარმომავლობის, უნარშეზღუდულობის, ასაკის, სქესის (ორსულობის ჩათვლით), ოჯახური მდგომარეობის ან სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად.

წონასწორობა პროფესიულ და პირად ცხოვრებას შორის

შპს „ბახვი 2“-ის ყველა მომწოდებელი საკუთარ თანამშრომლებს პროფესიულ და პირად ცხოვრებას შორის წონასწორობის მიღწევაში უნდა დაეხმაროს. უნდა უზრუნველყონ პერსონალისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რომელიც დაეხმარება თანამშრომლებს უფრო ეფექტურად მართონ პროფესიული და პირადი ცხოვრების ასპექტები.

წესების დაცვა

რეგულაციები:

კომპანიის ყველა მომწოდებელმა და მათმა თანამშრომლებმა ბიზნეს-საქმიანობის ფარგლებში უნდა დაიცვან ყველა მოქმედი კანონი და რეგულაცია. ყველა ბიზნეს-ოპერაციის დროს უნდა დაიცვან როგორც მათი ფორმა, ასევე შინაარსი. თუ შესაბამის კანონებსა და რეგულაციებში ასახული ეთიკური და პროფესიული სტანდარტები არ არის ისეთი მკაცრი, როგორც წინამდებარე კოდექსში, უპირატესობა კოდექსის სტანდარტებს მიენიჭება.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება:

შპს „ბახვი 2“-ის ყველა მომწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო საკუთარი პერსონალისთვის. მათ გულმოდგინედ უნდა დაიცვან ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის ყველა რეგულაცია ნებისმიერ იურისდიქციაში, სადაც ისინი მუშაობენ. ამასთან პრიორიტეტი თანამშრომლების კეთილდღეობას და უსაფრთხოებას უნდა მიანიჭონ.

გარემო:

შპს „ბახვი 2“-ის ყველა მიმწოდებელს აქვს ურყევი ვალდებულება ხელი შეუწყოს გარემოს რესურსების რაციონალურ გამოყენებას. მათ ევალებათ დაიცვან კლიენტის გარემოსდაცვითი პოლიტიკა და უზრუნველყონ ამ პოლიტიკისადმი არა მარტო მკაცრი შესაბამისობა, არამედ ასევე აქტიური მონაწილეობა ეკოლოგიურად პასუხისმგებლიან საქმიანობაში, როდესაც ეს შესაძლებელია. ისინი აუცილებლად უნდა იყენებდნენ საუკეთესო პრაქტიკას გარემოზე მათი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების და ბუნებრივი რესურსების არამიზნობრივად გამოყენების პრევენციის მიზნით.

ფინანსური აღრიცხვა:

შიდა აღრიცხვის და აუდიტის პროცედურებში ზუსტად უნდა იყოს ასახული შპს „ბახვი 2“-ის მომწოდებლების ყველა ბიზნეს-ტრანზაქცია და მათ მიერ აქტივების განკარგვა. მოთხოვნის საფუძველზე, მათ უნდა გამოიყენონ შიდა კონტროლის სისტემა კლიენტის აღმასრულებელი დირექტორის დასარწმუნებლად, რომ ტრანზაქციები არის ზუსტი და ლეგიტიმური. დაუშვებელია თანამშრომლობის პროცესში რაიმე ტრანზაქციის განზრახ გამოტოვება ბუღალტრული ჩანაწერებიდან. დაუშვებელია ფარული საბანკო ანგარიშების და სახსრების არსებობა. ნებისმიერი წინასწარგანზრახული შეცდომაში შეყვანა არსებით საკითხებზე მომწოდებელთა ფინანსურ ანგარიშებთან და ანგარიშგებასთან დაკავშირებით, ან/და დეზინფორმაცია მათ შესახებ, უნდა ჩაითვალოს მოცემული კოდექსის დარღვევად, რასაც

შეიძლება მოჰყვეს შესაბამისი სამოქალაქო ან სისხლის სამართლის სარჩელი სათანადო კანონმდებლობის საფუძველზე.

<u>კორპორატიული მხილების პოლიტიკა:</u>

შპს „ბახვი 2“-ის ყველა მომწოდებელი ვალდებულია აწარმოოს ბიზნესი პატიოსნად, სამართლიანად და გამჭვირვალედ. დაიცვას ყველა სამართლებრივი პასუხისმგებლობა. გადაცდომების ან არასათანადო ქმედებების კონფიდენციალურად შეტყობინების მიზნით აუცილებელია შეიქმნას ყოვლისმომცველი სისტემა, რომელიც მოიცავს კომპლექსურ კორპორატიული მხილების პოლიტიკას და შესაბამის საკომუნიკაციო არხს. კორპორატიული მხილების პოლიტიკის მიზნებია გამჭვირვალობის ხელშეწყობა, მკაფიო ინსტრუქციების მიწოდება პრობლემების გადასაჭრელად, კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და თანამშრომლებისათვის იმ უფლების გარანტირება, რომ დაუყონებლივ შეძლონ არასათანადო ქმედებებზე ეჭვების შესახებ შეტყობინება. მომწოდებლები მოუწოდებენ თანამშრომლებს შეატყობინონ დანაშაულებრივ ქმედებებთან, კორუფციასთან, ფინანსურ მაქინაციებთან და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის რისკის შექმნასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. თანამშრომლები, რომელთაც სურთ პრობლემების წამოჭრა ან განხილვა, უნდა დაუკავშირდნენ უშუალო ხელმძღვანელს, ადამიანური რესურსების მენეჯერს ან გარემოსდაცვითი, სოციალურ და მმართველობით საკითხების მენეჯერს. თუ კომპანიის სტრუქტურაში არ არიან ადამიანური რესურსების ან გარემოს დაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების მენეჯერები, თანამშრომლები, რომლებსაც სურთ პრობლემების წამოჭრა ან მათი განხილვა, უნდა დაუკავშირდნენ უშუალო ზემდგომ პირს. ანონიმური წერილობითი შეტყობინებები შეიძლება მოთავსდეს ჰიდროელექტროსადგურის განხორციელების არეალში არსებული საცხოვრებელი კემპის ტერიტორიაზე მოთავსებულ საჩივრების ყუთში. წამოჭრილ საკითხებს საფუძვლიანად გამოიკვლევს მენეჯმენტის გუნდი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციას სამართალდამცველ ან გარე საგამოძიებო ორგანოებს მიაწოდებს. არაკეთილსინდისიერი ან პირადი სარგებლობისთვის გაკეთებული შეტყობინებები განიხილება დისციპლინურ დარღვევად, რასაც შესაძლოა მოჰყვეს სამსახურიდან გათავისუფლება ახსნა-განმარტების გარეშე.

<u>მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა:</u>

შპს „ბახვი 2“ იღებს ვალდებულებას წარმართოს საკუთარი ბიზნესი მაქსიმალური პატიოსნებით, კეთილსინდისიერებით, მექრთამეობის და კორუფციის საწინააღმდეგო ნორმებისა და კანონების დაცვით. გვაქვს მოლოდინი რომ ჩვენი ყველა მომწოდებელი დაიცავს ამ პრინციპებს და შესაბამის ნორმებსა და კანონებს, საქართველოში მოქმედი კონკრეტული კანონმდებლობის ჩათვლით. მექრთამეობის ან კორუფციის ნებისმიერი ფორმის აკრძალვისას განვსაზღვრავთ „ქრთამს“, როგორც ნებისმიერ შეთავაზებას, რომელიც გაკეთდა, პირდაპირ ან ირიბად, გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის ან უსამართლო უპირატესობის მოპოვების მიზნით. აღნიშნული ავალდებულებს მომწოდებლებს, დაიცვან შესაბამისი ადგილობრივი რეგულაციები, ხოლო თუკი ეს რეგულაცია არ არის ისეთი მკაცრი როგორც მოცემული კოდექსი, უპირატესობა კოდექსის მოთხოვნებს მიენიჭება.

დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები

დასაქმების ყველა ასპექტი უნდა შეესაბამებოდეს მომწოდებელთა ადამიანური რესურსების პოლიტიკას, და/ან საკადრო პოლიტიკას და სამუშაო ხელშეკრულებებს, რაც უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვას. კომპანია აღიარებს საერთაშორისო სტანდარტებთან, განსაკუთრებით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობას.

ადამიანური რესურსების ფორმალური პოლიტიკის არარსებობის პირობებში, კომპანიის მენეჯმენტისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწრაფად შეიმუშაოს მოკლე სახელმძღვანელო

მითითებები დასაქმების საკითხების მართვისთვის და საქართველოს კანონებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

კონფიდენციალურობა და ინფორმაციის დაცულობა

შპს „ბახვი 2“ მოითხოვს, რომ ყველა მომწოდებელმა პრიორიტეტი მიანიჭოს თანამშრომელთა კონფიდენციალურობისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვას. ფაილები, სამედიცინო ჩანაწერები, საჩივრები/გამოძიებები და დისციპლინარული ღონისძიებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ უფლებამოსილი პირის მიერ, საქმიანი საჭიროებებისთვის, რათა თავიდან იქნას აცილებული ინფორმაციის შეუსაბამო გამოყენება ან გამჟღავნება.

თანამშრომელთა კონფიდენციალურობა სამსახურის კონტექსტში უნდა იქნას დაცული. პირადი ქცევა არ რეგულირდება სამუშაო ადგილზე, თუკი აღნიშნული არ მოახდენს რაიმე ზეგავლენას სამუშაოს შესრულებაზე და არ მოდის წინააღმდეგობაში კომპანიის ღირებულებებთან და კოდექსებთან. აუცილებელია ადგილობრივ კანონებთან შესაბამისობა და ისეთი მოქმედებებისგან თავის არიდება, რომლებიც აღიქმება პრივილეგიების ბოროტად გამოყენებად. კონფიდენციალური ინფორმაციის უნებართვო გამჟღავნება მკაცრად აკრძალულია.

გადაცდომებისა და დარღვევების შესახებ ანგარიშგება

იმ შემთხვევაში, თუ მომწოდებლის გუნდის რომელიმე წევრი აღმოაჩენს მექრთამეობის და კორუფციის საწინააღმდეგო პოლიტიკის დარღვევას, ან იქნება ამგვარი დარღვევის მოწმე, სავალდებულოა აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ მომზადდეს მოხსენება სპეციალური არხების საშუალებით. ამ მოხსენებების კონფიდენციალურობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ თანამშრომელთა დაცვის უზრუნველსაყოფად, ვინც აღნიშნულ შეტყობინებას აკეთებს. შეტყობინების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ დაიწყება სწრაფი და საფუძვლიანი გამოკვლევა. მომწოდებელმა უნდა განიხილოს თითოეული დარღვევა, როგორც გამოცდილების მიღების და მოცემული სისტემების გაძლიერების შესაძლებლობა და სწრაფად მიიღოს გამოსასწორებელი ზომები. იმავდროულად, ჩვენ ვაძლიერებთ პრევენციულ ზომებს, რითაც ჩვენი მხრიდან, ხაზს ვუსვამთ ეთიკური ქცევის ვალდებულებას. დარღვევების გამოსწორება ჩვენი კომპანიის კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის შემადგენელი ნაწილია.

ანგარიშგების აუცილებლობით და ეფექტური გამოსასწორებელი ქმედებების უზრუნველყოფით მომწოდებლებმა უნდა დაიცვან მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის ვალდებულება და ხელი შეუწყონ ანგარიშვალდებულების და სანდოობის კულტურის დანერგვას.

დარღვევის მოკვლევის ანგარიში უნდა შეესაბამებოდეს კომპანიის ადამიანური რესურსების პოლიტიკაში ან/და დასაქმების ხელშეკრულებებში გაწერილ პროცედურებს და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნებს. ადამიანური რესურსების დადგენილი პროცედურების არარსებობის პირობებში, კომპანიებისთვის აუცილებელია, რომ მათ დაუყოვნებლივ შეიმუშაონ მკაფიო პროტოკოლები და/ან ბრძანებები დარღვევის მოკვლევის ანგარიშების დამუშავების მიზნით, რათა უზრუნველყონ ეთიკური ქცევა და რისკების ეფექტური შერბილება.

სხვადასხვა

ეთიკური ქცევა

მომწოდებლების ყველა თანამშრომელი, აქციონერი და დირექტორი კომპანიის სახელით მოქმედებისას უნდა ამჟღავნებდეს პროფესიონალიზმს, პატიოსნებას, კეთილსინდისიერებას და აკმაყოფილებდეს მაღალ მორალურ და ეთიკურ სტანდარტებს. მომწოდებლების თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია კოდექსის განხორციელებასა და დაცვაზე მის პროფესიულ გარემოში. კოდექსის დაუცველობას შესაძლოა მოჰყვეს მძიმე შედეგები, სამსახურიდან განთავისუფლების ჩათვლით.

კომპანიის აქტივების დაცვა

კომპანიის აქტივები გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ მიზნობრივად, დასაქმებულის უფლებამოსილებისა და კომპეტენციის თანახმად. ზემოაღნიშნული მოიცავს მატერიალურ აქტივებს, როგორიცაა ელექტრო ტექნიკა, სისტემები, მასალები, რესურსები, ისევე როგორც არამატერიალური აქტივები, როგორიცაა საინფორმაციო ტექნოლოგიები და სისტემები, საკუთრების შესახებ ინფორმაცია, ინტელექტუალური საკუთრება, ურთიერთობა მესამე მხარეებთან და ა.შ. კომპანიის მენეჯმენტი კომპანიის მიზნების მისაღწევად პასუხისმგებელია ეკისრება ამ საკუთრების ეთიკურ და ეფექტიან გამოყენებაზე.

სამოქალაქო ჩართულობა

შპს „ბახვი 2“-ის თითოეული მომწოდებლის თანამშრომელი უფლებამოსილია თავისუფლად ჩაერთოს სამოქალაქო ან პოლიტიკური საქმიანობაში, თუკი აღნიშნული უარყოფითად არ აისახება ბიზნეს-საქმიანობაზე.

ინფორმაციის გამოქვეყნება და გავრცელება

არცერთი მომწოდებლის არც ერთ თანამშრომელს არ აქვს უფლება გამოაქვეყნოს, ან გაავრცელოს რაიმე სტატია, განცხადება ან ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „ბახვი 2“-ის ბიზნესზე ან ინტერესებზე, მენეჯერის მიერ გაცემული მკაფიო ნებართვის გარეშე.

წარმოდგენილი მონაცემების მთლიანობა

შპს „ბახვი 2“-ის მომწოდებლების ყველა თანამშრომელმა ყოველთვის უნდა უზრუნველყოს თავის მიერ მიწოდებული მონაცემების ან ინფორმაციის მთლიანობა. ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას (შინაარსით ან ფორმით), პლაგიატს, ან მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგნებულად გამოტოვებას შესაძლოა მოჰყვეს სერიოზული დისციპლინური ნორმების ამოქმედება.

საოფისე ჩაცმულობა

შპს „ბახვი 2“-ის მომწოდებლების ყველა თანამშრომელი სამუშაო ადგილზე მოთხოვნილი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად უნდა იყოს წარმოდგენილი. სამოსი შესაძლოა იყოს განსხვავებული სხვადასხვა ოფისში, თუმცა არსებობს მოლოდინი, რომ თითოეულ თანამშრომელს კომპანიის დადებითად წარმოჩენის მიზნით აცვია აკურატულად და პროფესიონალურად. საჭიროების შემთხვევაში ყველა თანამშრომელმა უნდა ატაროს პირადი დაცვის საშუალებები. დაუშვებელია მკაფიოდ გამომწვევი სამოსი, შესამჩნევად უსუფთაო ტანსაცმელი და მოუვლელი თმა.

გარდა ამისა, შპს „ბახვი 2“-ის მომწოდებლების ყველა თანამშრომელმა უსაფრთხოების პროტოკოლების მოთხოვნის შესაბამისად უნდა ატაროს პირადი დაცვის საშუალებები (მათ შორის ჩაფხუტი, სათვალე, ხელთათმანები და სხვა დამცავი ტანსაცმელი). ამ წესების დაუცველობა უქმნის რისკს ინდივიდებს და პერსონალს და იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას. უსაფრთხოებისთვის პრიორიტეტის მინიჭება უმნიშვნელოვანესია.

უფლებამოსილების განხორციელება

მომწოდებლის ყველა თანამშრომელს აქვს ვალდებულება, რომ ზემოხსენებული უფლებამოსილების გამოყენებისას მაქსიმალური პატივისცემა გამოიჩინოს ნებისმიერ ურთიერთობებში მენეჯმენტსა და პერსონალთან მიმართებაში. ასევე ხელისუფლებასთან, ინვესტორებთან და კონტრაქტორებთან ურთიერთობებში. უფლებამოსილების წინდაუხედავ ან უპატივცემულო გამოყენებას შესაძლოა მოჰყვეს უაღრესად ნეგატიური შედეგები კლიენტებისთვის, კონტრაქტორებისთვის, პარტნიორებისთვის და კოლეგებისთვის, რადგანაც თანამშრომლები ხშირად ორგანიზაციის ხმად აღიქმებიან. თანამშრომლები მგრძნობიარენი უნდა იყვნენ იმ პოტენციური ზიანის მიმართ, რომელიც შესაძლოა მიაყენოს სხვებს უფლებამოსილების არაგონივრული ან უპატივცემულო გამოყენებით.

შვებულებები და გაცდენები

შვებულება ავადმყოფობის და ჰოსპიტალიზაციის გამო

შპს „ბახვი 2“-ის მომწოდებლების თითოეული თანამშრომლის შრომითი ხელშეკრულება, ადგილობრივი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად, უნდა მოიცავდეს დებულებებს წლიური შვებულების შესახებ, ასევე ავადმყოფობის და ჰოსპიტალიზაციის გამო შვებულების შესახებ.

დეკრეტული შვებულება

შპს „ბახვი 2“-ის ყველა მომწოდებელს უნდა ჰქონდეს ვალდებულება უზრუნველყოს საკუთარი თანამშრომლები ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით, თუ ეს კანონით არ არის აკრძალული. ამ პერიოდის განმავლობაში თანამშრომლები უწყვეტად მიიღებენ კუთვნილ ხელფასს კანონმდებლობით ან კომპანიის შინაგანაწესში მოცემული პრინციპების დაცვით. დეკრეტული შვებულების ათვლა დაიწყება მშობიარობის დღიდან, თუ ეს სხვაგვარად არ არის შეთანხმებული. თუ ორსულობის გამო თანამშრომელს არ შეუძლია მუშაობა ნაწილობრივ ან სრულად, გამოყენებული იქნება იგივე რეკომენდაციები, რაც დაშვებულია შრომისუუნარობის დროს, საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად.

მამების დეკრეტული შვებულება ახალშობილის მოვლისათვის

შპს „ბახვი 2“-ის ყველა მომწოდებელი იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს საკუთარი თანამშრომლები ახალშობილის მოვლისათვის მამების ორკვირიანი ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით, თუ ეს კანონით არ არის აკრძალული. ამ პერიოდის განმავლობაში თანამშრომლები უწყვეტად მიიღებენ კუთვნილ ხელფასს. ახალშობილის მოვლისათვის საჭირო მამების დეკრეტული შვებულების ათვლა დაიწყება ბავშვის დაბადების დღიდან, თუკი ეს სხვაგვარად არ არის შეთანხმებული. გარემოებების მიუხედავად, ეს საკითხი საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად უნდა გადაწყდეს.

ბავშვთა შრომა

შპს „ბახვი 2“ მკაცრად კრძალავს ბავშვთა შრომის ნებისმიერ ფორმას. მომწოდებლები ვალდებულნი არიან იმოქმედონ საქართველოს შრომის კოდექსისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციების თანახმად. 16 წლამდე ასაკის პირები დასაქმება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს მათი კანონიერი წარმომადგენლების ან მეურვეობის ორგანოს წერილობითი თანხმობა. 16 წლამდე ასაკის პირების დასაქმების შემთხვევაში, გარემო უნდა იყოს უსაფრთხო, არ უნდა უშლიდეს ხელს ბავშვის განათლებას და არ უნდა ვნებდეს მის ჯანმრთელობას ან კეთილდღეობას. 16-დან 18 წლამდე ასაკის პირების დასაქმების შემთხვევაში, მომწოდებლებმა უნდა უზრუნველყონ უსაფრთხო სამუშაო, რომელიც არ იმოქმედებს უარყოფითად ბავშვის განვითარებაზე და რომელიც სრულ თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. მომწოდებლებს მოეთხოვებათ რეგულარული აუდიტების ჩატარება, ასაკის დამადასტურებელი ჩანაწერების მართვა და შესაბამისობის დარღვევის შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების გატარება. აღნიშნული შეესაბამება შპს “ბახვი 2”-ის ბავშვთა შრომის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას და ახალგაზრდების უფლებებისა და კეთილდღეობის დაცვისადმი ჩვენს ვალდებულებას.

სამუშაო პირობები

შპს „ბახვი 2“-ის მომწოდებლები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ სამართლიანი, უსაფრთხო და კანონმდებლობასთან შესაბამისი სამუშაო პირობები ყველა თანამშრომლისთვის. აღნიშული მოიცავს შემდეგს:

- *სამუშაო საათები:* სამუშაო საათების კანონით დადგენილი ლიმიტების დაცვა, თანამშრომლების გადამეტებული დატვირთვის თავიდან აცილება და მათი დასვენებისა და შესვენებების უზრუნველყოფა, რომელიც დასაქმებულის კანონიერი უფლებაა.
- *შრომითი ანაზღაურება და ბენეფიტები:* მომწოდებლებმა უნდა უზრუნველყონ სამართლიანი შრომითი ანაზღაურება, რომელიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს

და კარგ საერთაშორისო პრაქტიკებს. ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს ან აღემატებოდეს კანონით დადგენილ მინიმალურ ხელფასს და მოიცავდეს ყველა კანონით გათვალისწინებულ სარგებელს, როგორიცაა ჯანმრთელობის დაზღვევა, ანაზღაურებადი შვებულება და სხვა უფლებები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს შრომის კანონმდებლობით. ასევე წახალისდება კომპენსაციის საკითხი, რათა მოხდეს სამართლიანობისა და შესაბამისობის უზრუნველყოფა როგორც ადგილობრივ რეგულაციებთან მიმართებაში, ისე საერთაშორისო კარგ პრაქტიკებთან თანხვედრა.

- *სამუშაო გარემო:* უსაფრთხო და ჯანმრთელობისთვის უვნებელი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა, რომელიც თავისუფალია ფიზიკური ან მენტალური რისკებისგან. მომწოდებლებმა უნდა შეამცირონ ზედმეტი ფიზიკური დატვირთვა და უზრუნველყონ თანამშრომლების მენტალური კეთილდღეობა სამუშაოსა და პირადი ცხოვრების ბალანსისათვის. აღნიშნული მოიცავს რეგულარული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების აუდიტების ჩატარებას, ტრენინგების უზრუნველყოფას და პრევენციული ზომების დანერგვას, რათა შემცირდეს სამუშაო გარემოში ინციდენტების რისკი.

<u>დისკრიმინაცია და შევიწროება</u>

შპს „ბახვი 2“-ის მომწოდებლები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ სამუშაო გარემო, რომელიც თავისუფალია დისკრიმინაციისა და შევიწროებისგან. აღნიშნული გულისხმობს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის მკაცრ აკრძალვას, რომელიც შეიძლება ეფუძნებოდეს რასის, კანის ფერის, ეთნიკურ კუთვნილების, გენდერის, ასაკის, შეზღუდულ შესაძლებლობების, სექსუალურ ორიენტაციის, რელიგიური მრწამსის ან სხვა პიროვნული მახასიათებლების გამოვლენას. მომწოდებლები ვალდებულნი არიან შეიმუშაონ მკაფიო და ეფექტიანი პოლიტიკა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, ჩაატარონ რეგულარული ტრენინგები ყველა თანამშრომლისთვის და დანერგონ კონფიდენციალური ანგარიშგების მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს შევიწროების ან დისკრიმინაციის შემთხვევების სწრაფ და დაცულ განხილვას. კატეგორიულად აკრძალულია შევიწროების ნებისმიერი ფორმა, მათ შორის სექსუალური შევიწროება, ბულინგი და/ან დაშინება.

<u>გენდერული თანასწორობა და ინკლუზია</u>

შპს „ბახვი 2“-ის მომწოდებლები ვალდებულნი არიან აქტიურად შეუწყონ ხელი სამუშაო გარემოში გენდერულ თანასწორობასა და ინკლუზიას. ეს გენდერული იდენტობის მიუხედავად ყველა თანამშრომლისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას გულისხმობს. მათ შორის, გულისხმობს თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების გარანტიას და გენდერული ნიშნით ხელფასის სხვაობის შემცირების მიზნით სისტემურ და აქტიურ მუშაობას.

მომწოდებლები ვალდებულნი არიან დანერგონ პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ლიდერულ პოზიციებზე ქალების ჩართულობას, რათა მხარი დაუჭირონ მათ კარიერულ წინასვლას. მომწოდებლები ასევე ვალდებულნი არიან შექმნან სამუშაო გარემო, რომელიც სრულად თავისუფალი იქნება გენდერული დისკრიმინაციისა და შევიწროებისგან. გარდა ამისა, მათ დასაქმებულებს უნდა შესთავაზონ მოქნილი სამუშაო გრაფიკი და სხვა ადაპტაციური ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს სამუშაოსა და პირადი ცხოვრების ბალანსის დაცვას, განსაკუთრებით იმ მათთვის, ვისაც ოჯახში დამატებითი მზრუნველობის პასუხისმგებლობები აქვთ.

აუცილებელია გენდერული დისკრიმინაციისა და შევიწროების საკითხებზე ანგარიშგებისა და მათი ეფექტიანი მოგვარების მკაფიო მექანიზმების არსებობა, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო და ღირსეულ სამუშაო გარემოს ყველა თანამშრომლისთვის. გენდერული მგრძნობელობისა და თანასწორობის შესახებ რეგულარული ტრენინგები ხელს შეუწყობს თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას და ინკლუზიური და მხარდამჭერი სამუშაო კულტურის ჩამოყალიბებას.

სათბურის გაზების ემისიები და ენერგომოხმარება

მომწოდებლები ვალდებულნი არიან აქტიურად მართონ და მინიმუმამდე დაიყვანონ სათბურის გაზების ემისიების გამოყოფა. ეს მოიცავს ენერგიის მოხმარების მონიტორინგს, ნახშირბადის კვალის შემცირების მიზნით, გაზომვადი და მიღწევადი მიზნების დასახვას და ენერგოეფექტური პრაქტიკისა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვასა და განვითარებაში ინვესტირებას. მომწოდებლებმა გამჭვირვალედ უნდა წარადგინონ მონაცემები ემისიებისა და ენერგიის მოხმარების შესახებ, რათა უზრუნველყონ შპს „ბახვი 2"-ის გარემოსდაცვითი მდგრადობის მიზნებთან და ვალდებულებებთან შესაბამისობა.

ასევე წახალისებული იქნება მეცნიერებაზე დაფუძნებული სათბურის გაზების ემისიების შემცირებაზე ზრუნვა და შესაძლებლობის ფარგლებში განახლებადი ენერგიის წყაროებზე გადასვლა.

დაბინძურების პრევენცია და ნარჩენების მართვა

მომწოდებლები ვალდებულნი არიან, დანერგონ პასუხისმგებლიანი ნარჩენების მართვისა და დაბინძურების პრევენციის ეფექტიანი პრაქტიკა. ეს მოიცავს ნარჩენების წარმოქმნის მინიმუმამდე შემცირებას, საშიში მასალების უსაფრთხო განთავსებას და რესურსების გადამუშავებისა და ხელახალი გამოყენების შესაძლებლობების აქტიურ ძიებასა და დანერგვას.

მომწოდებლები ვალდებულნი არიან, დანერგონ ნარჩენების შემცირების სტრატეგიები, რეგულარულად ჩაატარონ გარემოსდაცვითი აუდიტები და დაიცვან ყველა ადგილობრივი და საერთაშორისო რეგულაცია, რომელიც ნარჩენების განთავსებასა და დაბინძურების კონტროლს უკავშირდება. გარდა ამისა, მათ რეგულარულად უნდა აწარმოონ ანგარიშგება ნარჩენების მართვის ეფექტიანობის შესახებ, რათა უზრუნველყონ გამჭვირვალობა და გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულება.

ბიომრავალფეროვნება, გაუტყეურება და მიწის კონსერვაცია

შპს „ბახვი 2"-ის მომწოდებლები ვალდებულნი არიან, პრიორიტეტი მიანიჭონ ბიომრავალფეროვნების დაცვას და აიღონ პასუხისმგებლობა ისეთი პრაქტიკის დანერგვაზე, რომელიც ხელს უშლის გაუტყეურებას და ხელს უწყობს მიწის კონსერვაციას. აღნიშნული გულისხმობს ნედლეულის პასუხისმგებლიანი წყაროების მოძიებას, გაუტყეურების პრევენციის ვალდებულებების შესრულებას და ეკოსისტემების აღდგენისა და დაცვის ინიციატივებში აქტიურ მონაწილეობას. მდგრადი მიწის მართვის პრაქტიკის ხელშესაწყობად, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა წახალისებულ იქნება. ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების მონიტორინგისთვის აუცილებელია რეგულარული შეფასებების ჩატარება, ხოლო კონსერვაციის პროგრამებში აქტიური მონაწილეობა უზრუნველყოფს ოპერაციების შედეგად გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას.

აღნიშნული მოიცავს ნედლეულის პასუხისმგებლიანი წყაროების მოძიებას, გაუტყეურების პრევენციის უზრუნველყოფას და ეკოსისტემების აღდგენისა და დაცვის ინიციატივებში აქტიურ მონაწილეობას. ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების რეგულარული მონიტორინგი და კონსერვაციის პროგრამებში ჩართულობა აუცილებელია, რათა ოპერაციების შედეგად გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება მაქსიმალურად შემცირდეს.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და ინტერესთა კონფლიქტი

შპს „ბახვი 2"-ის მომწოდებლები ვალდებულნი არიან, დაიცვან უმაღლესი ეთიკური სტანდარტები და თავიდან აიცილონ კორუფციის, ქრთამის ან ინტერესთა კონფლიქტის ნებისმიერი ფორმა. ეს მოიცავს ანტიკორუფციული პოლიტიკის დანერგვას, თანამშრომლებისთვის ეთიკური პრაქტიკის შესახებ რეგულარული ტრენინგების ჩატარებას და საეჭვო ქცევის ანგარიშგებისთვის მკაფიო და გამჭვირვალე პროცედურების განსაზღვრას.

მომწოდებლებს მკაცრად ეკრძალებათ ქრთამის შეთავაზება, მოთხოვნა ან მიღება ნებისმიერი ფორმით. მათ ზეწოლისა და გავლენის გარეშე უნდა უზრუნველყონ ყველა ბიზნეს გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობა. ნებისმიერი პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი საჯაროდ უნდა იყოს გამჟღავნებული, ხოლო მომწოდებლებმა უნდა დანერგონ და განახორციელონ ეფექტიანი პოლიტიკა, რომელიც აღმოფხვრის კორუფციულ პრაქტიკას.

ამ პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია რეგულარული აუდიტებისა და შესაბამისობის შემოწმებების ჩატარება, რაც ხელს შეუწყობს ეთიკური ნორმების მკაცრად დაცვას.

<u>კონკურენციის საწინააღმდეგო პრაქტიკა</u>

მომწოდებლები ვალდებულნი არიან, დაიცვან ყველა მოქმედი ანტიმონოპოლიური კანონი და რეგულაცია კონკურენციის შესახებ. აღნიშნული მოიცავს ნებისმიერი პრაქტიკისგან თავის არიდებას, რომელიც ზღუდავს სამართლიან კონკურენციას, როგორიცაა ფასების ფიქსირება, ტენდერების გაყალბება ან მონოპოლიების შექმნა.

მომწოდებლები ვალდებულნი არიან, აწარმოონ საქმიანობა კეთილსინდისიერებით და ხელი შეუწყონ კონკურენტუნარიან და სამართლიან ბაზარს. აუცილებელია პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება და დანერგვა, რომლებიც პრევენციას გაუწევს კონკურენციის საწინააღმდეგო ქცევას. თანამშრომლები რეგულარულად უნდა გადიოდნენ ტრენინგებს სამართლიანი კონკურენციის პრინციპებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ.

მკაცრად აკრძალულია ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება, რომელიც შეიძლება შეფასდეს როგორც კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედება. მომწოდებლები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მათი ბიზნეს პრაქტიკის ამ პრინციპებთან სრულად შესაბამისობა.

ინიციატივებში მონაწილეობა, რომლებიც ხელს უწყობს ბაზრის გამჭვირვალობას და ეთიკურ ქცევას, დადებითად იქნება შეფასებული და წახალისებული.

მომწოდებელთა ქცევის კოდექსის წლიური გადახედვის პროცესი

საერთაშორისოდ აღიარებული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების კარგი პრაქტიკებისა და სტანდარტების შესაბამისად, ყოველი წლის ბოლოს, კომპანიის მიერ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი დოკუმენტაცია სრულყოფილად გადაიხედება. აღნიშნულ პროცესს ახორციელებს კომპანიის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი და უზრუნველყოფს, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია ზუსტად ასახავს მიმდინარე შეფასებებს, შესრულების მაჩვენებლებსა და ოპერირების პრაქტიკებს.

ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, განახლებული დოკუმენტაცია გადის მკაცრ დამტკიცების პროცესს. თავდაპირველად, შემოთავაზებული ცვლილებები რევიზიისა და დამტკიცებისთვის გადაეცემა კომპანიის დირექტორს. დირექტორის ვალიდაციის შემდეგ, დოკუმენტაცია ეგზავნება კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის (CCEH) გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი და მდგრადობის ხელმძღვანელს, საბოლოო რევიზიისა და დამტკიცებისათვის. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ თითოეული ცვლილება ასახავს მაღალი ხარისხის სტანდარტებს, გამჭვირვალობას და რეგულაციების მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინფორმირებული არიან ცვლილებების შესახებ, რაც აძლიერებს ჩვენს ვალდებულებას შევინარჩუნოთ მაღალი საერთაშორისო სტანდარტები.

კომპანიის განახლებული მომწოდებელთა ქცევის კოდექსი საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება კომპანიის ვებგვერდზე. მისი ძველი ვერსია კვლავ ხელმისაწვდომი რჩება ვებ გვერდზე, არქივის განყოფილებაში.